ჩემი საქართველო



№83, ნოემბერი, 2023

რუსთავის აკადემიური ქალაქის საგანმანათლებლო-შემეცნებითი გაზეთი მათთვის, ვისაც ცოდნის გაღრმავების სურვილი აქვთ, ლიდერობა სურთ და პროფესიონალიზმს ესწრაფვიან!

ღმერთმა დალოცოს რუსთავის აკადემიური ქალაქის რექტორატი, პროფესორ-მასწავლებლები, ტექნიკური პერსონალი, სტუდენტი-ახალგაზრდობა და მათი მშობლები

ოქროს მედალოსნები

რუსთავის აკადემიური ქალაქის ქართული დელეგაციის წევრები: მაყვალა ქობულაძე, გენრიეტა აბესაძე და მაკა სამხარაძე ოქტომბრის თვის გმირები გახდნენ უკრაინის ულამაზეს ქალაქ კანევში. დიახ, სწორედ ისინი მოექცნენ ადგილობრივი და სახელმწიფო მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ეპიცენტრში, აქ ჩერკასის ოლქის ამ ქალაქში, სადაც უკვდავი შევჩენკოს ძვალთშესალაგია და მისი სული აბობოქრებს მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი მდინარე დნეპრის მარადიულობას, ნიშანდობლივად და გამიზნულად გადაეცა ამ ნიჭიერ და შემოქმედ ქალბატონებს ევროპის სამეცნიერო-პედაგოგიური პარლამენტისაგან მსოფლიო მნიშვნელობის ჯილდოები, მაყვალა ქობულაძეს – ფილოსოფოსის, პედაგოგისა და მწერლის, სოკრატეს; გენრიეტა აბესაძეს – „ნატურალური ფილოსოფიის მათემატიკური საწყისების“ ავტორის ისააკ ნიუტონის და მაკა სამხარაძეს – მსოფლიო ისტორიის მამად წოდებული ჰეროდიტეს – ოქროს ვარსკვლავის მედლები.

საზეიმო ღონისძიებას, რომელიც ევროპის სამეცნიერო-პედაგოგიური პარლამენტის რიგგარეშე სხდომის ფარგლებში წარიმართა, უკრაინის საკადრო პოლიტიკის საერთაშორისო უნივერსიტეტმა უმასპინძლა, რომელსაც სხვადასვხა ქვეყნის პედაგოგიურ სპექტრთან ერთად რეგიონისა და ქალაქის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ – ეს ქალბატონები, უძლიერესი პიროვნებები არიან, თავისი ცოდნით, რუდუნებით, კეთილსინდისიერებით, გამოცდილებითა და ღირსებით! ამიტომაც განსაკუთრებით მიხარია და მეამაყება, რომ ამ ოქროს მედლებმა, თავიანთი ჭეშმარიტი ადრესატები იპოვეს – აღნიშნა დაჯილდოების საერთაშორისო ცერემონიალზე ევროპის სამეცნიერო პედაგოგიური პარლამენტის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ.

უკრაინის საკადრო პოლიტიკის საერთაშორისო უნივერსიტეტმა სწავლა დაიწყო

ევროპის სამეცნიერო-პედაგოგიური პარლამენტის უკრაინის საკადრო პოლიტიკის საერთაშორისო უნივერსიტეტში, ქალაქ რუსთავის სასწავლო-საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრმა დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთათვის ქართულ სექტორზე სწავლა დაიწყო! პირველკურსელებს საზეიმოდ შეხვდა რუსთავის აკადემიური ქალაქი, ეს დაუვიწყარი დღე სტუდენტებს, მათ მშობლებსა და

ლექტორ-მასწავლებლებს გულთბილად მიულოცა უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ და საუნივერსიტეტო ცხოვრების პირველმა ზარმა, პირველ ლექციაზე იხმო პირველკურსელები!

პირველსავე დღეს შედგა სტუდენტური თვითმართველობის პირველი სხდომა, სადაც ჯგუფის ხელმძღვანელად თანაკურსელი ანი სადუნიშვილი აირჩიეს!

რას წერენ ჩვენზე

როცა ქვემეხები ქუხს...

მაშ ასე: რუსთავში, შევჩენკოს №5-ში მდებარე აკადემიური ქალაქი 15 წლისაა და თავისი ბიოგრაფიის მე-16 სასწავლო წელს, ტრადიციულად, ღია კარის დღით იწყებს.

სააქტო დარბაზში ხალხმრავლობაა. აქ სწავლის გაგრძელების მსურველები დედებთან, მამებთან და ბებიებთან ერთად მოსულან. რად უნდათ უფროსი ასაკის ახალგაზრდებს მშობლები? მაგრამ ინტერესის სფერო სხვა რამ არის, უფროსი ასაკის ადამიანებსაც სურთ ნახონ აკადემიური ქალაქი 22 კორპუსით, მთელი თავისი იერსახით მინი ქალაქს რომ წააგავს და გვარიანად ლამაზად გამოიყურება. მისი დასაძირკვლების ისტორია 15 წლის წინ დაიწყო, როდესაც ყოფილი ნაგავსაყრელიდან ტონობით ნაგავი გაიზიდა, მერე კი სასწავლო კორპუსების მშენებლობა დაიწყო, დღეს ყველა მათგანს თავისი დანიშნულება აქვს და ერთ მთლიან ანსამბლს ქმნის.

ღია კარის დღეზე პირველად მოსულმა მოსწავლეებმა ყველაფერი გულდასმით დაათვალიერეს, მიიღეს სარეკლამო ინფორმაციები, ჟურნალები და გადაწყვიტეს ამ სასწავლებელში მიიღონ განათლება.

წელს კოლეჯმა, რომელიც აშშ-ს „ეუსენ“-ის საერთაშორისო საგანმანათლებლო ევროაკრედიტაციის მფლობელი და „იეას“-ის საერთაშორისო საგანმანათლებლო სააკრედიტაციო კომიტეტის (ბელგია) აკრედიტირებული საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების ცენტრად იწოდება, ოფიციალური გასაუბრების საფუძველზე მიღება გამოაცხადა IX, X, XI, XII კლასდამთავრებულთათვის შემდეგ სპეციალობებზე: კომპიუტერული ტექნოლოგიები, საპროექტო დიზაინი, დაცვა-პატრულირება, ბანკის ოპერატორი, ექთნის თანაშემწე, ფარმაცევტის თანაშემწე, კბილის ტექნიკოსი, ვეტერინარი, ბაგა-ბაღის აღმზრდელი, კორესპონდენტი, გიდი და ტურიზმი. სწავლება სამწლიანია, სასწავლო გადასახადი წელიწადში 900 ლარი. კურსდამთავრებულები იღებენ სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელ სამენოვან ოქროსბეჭდიან დიპლომს.

ამჟამად ჩვენს ქალაქში თუ რეგიონებში ზევით დასახელებული პროფილის ბევრ ობიექტში შეხვდებით ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულებს, მათ, რომელთაც კოლეჯის დიპლომით ადვილად მოახერხეს პროფესიული საქმიანობის დაწყება.

...ღია კარის ღონისძიება ქართული და უკრაინული ჰიმნის აჟღერებით დაიწყო. სიტყვით გამოსვლისას რექტორმა, აკადემიური ქალაქის დამფუძნებელმა გარი ჩაფიძემ აღნიშნა: იმედს ვიტოვებ ჩემს პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად, რომ გაამართლებთ ჩვენს ნდობას და საამაყო სტუდენტები იქნებით. გილოცავთ სტუდენტობას და მადლობას გიხდით, რომ არჩევანი ჩვენს სასწავლებელზე გააკეთეთ. ცოდნის ფასი აუწონავია. ჩვენს ქვეყანას დღეს ძლიერ განათლებული და უნარიანი ახალგზრდები სჭირდება. მთავარია ინდივიდუალიზმი და საკუთარი თავის რწმენა. არასოდეს იფიქროთ, რომ ვერ მოერევით წინააღმდეგობებს. სიცოცხლის აზრი წინააღმდეგობათა დაძლევაშია და იმედს ვიტოვებთ, რომ თქვენც წარმატებული კურსდამთავრებულები იქნებით. მთავარია შემდეგი: დაიცვათ სასწავლო და სასემინარო დისციპლინა, დაძლიოთ შეფასების 10-ბალიანი სისტემა და წარმატებით ჩააბაროთ გამოცდები. ღონისძიების დასასრულს, გასული წლის წარმატებით კურსდამთავრებულები დაჯილოვდნენ სპეციალური პრიზებითა და სიგელებით.

ამ საინტერესო დღევანდელობას წინ უძღოდა ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტები და მოვლენები, რომლის ავტორები სწორედაც აკადემიური ქალაქის დამფუძნებლები გარი ჩაფიძე და მისი მეუღლე მაკა სამხარაძე არიან. ამ ორ პიროვნებას, ვაჟიშვილთან, მერვეკლასელ საბა ჩაფიძესთან ერთად, ათეული წლის განმავლობაში საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ უკრაინასთან, რაც ორი ქვეყნის, საქართველო-უკრაინის ურთიერთობათა ფართო მასშტაბებში გამოიხატება და ბევრ სიკეთეს იტევს ორივე ქვეყნისათვის. მშვიდობიან პირობებში ეს მეგობრობა და მეზობლობა ოფიციალურ დონეზე ორივე ქვეყნის საგანმანათლებლო ურთიერთობებისათვის მხოლოდ წარმატებების მომტანი იყო, ახლა კი... გამოთქმა, როცა ქვემეხები ქუხს, მუზა დუმს, საბედნიეროდ, საპირისპიროდ შეცვალა ჩვენმა თანამემამულემ გარი ჩაფიძემ. იგი ზაფხულის არდადეგებზე კარგად მოფიქრებული პროექტით და საგანგებოდ შერჩეული ქართული დელეგაციის წევრებით უკრაინასა და პოლონეთს ეწვია და სადაც, ურთულეს პოლიტიკურ გარემოში, კერძოდ, ქვეყანაში, სადაც ომია, უნივერსიტეტის ქართული სექტორი გახსნა.

დელეგაციის შემადგენლობა: აკადემიკოსი გარი ჩაფიძე; რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში მაკა სამხარაძე; კოლეჯის პრორექტორი, პედაგოგი გენრიეტა აბესაძე; საზოგადოება „ასი ქართველი ქალის“ თავმჯდომარე პედაგოგი ნათელა ნატროშვილი; ქუთაისის მერიის თანამშრომელი, პედაგოგი მაყვალა ქობულაძე.

მარშრუტი: პოლონეთში, დედაქალაქ ვარშავაში ჩაფრენა, შემდეგ, უკრაინა. ვარშავაში ევროპის სამეცნიერო პედაგოგიური პარლამენტის ეგიდით გამართულ მაღალი დონის შეხვედრაზე, რომელსაც პოლონეთის დედაქალაქის ხელმძღვანელი პირებიც ესწრებოდნენ, მასპინძლებმა და სტუმრებმა საქართველოდან, სიტყვით გამოსვლისას თანაგრძნობა და მხარდაჭერა გამოხატეს უკრაინელი ხალხის მიმართ და სამომავლო გეგმებზეც ისაუბრეს. პედაგოგიური საერთაშორისო პარლამენტის თავმჯდომარემ გარი ჩაფიძემ სიტყვით გამოსვლისას ხაზი გაუსვა იმასაც, რომ პოლონეთის ქალაქ ლოძში გახსნილ უნივერსიტეტში კვლავაც აქტიურად განაგრძობს საქმიანობას.

ორი დღის შემდეგ ქართული დელეგაცია ავტობუსით გაემგზავრა უკრაინის ჩერკასის ოლქის ქალაქ კანევში, სადაც ქალაქის ადმინისტრაციული აპარატის ხელმძღვანელთა ინიციატივით ქართული დელეგაციის წევრებთან ერთად ოფიციალურად გაიხსნა ევროპის საერთაშორისო სამეცნიერო- პედაგოგიური პარლამენტის, უკრაინის საკადრო პოლიტიკის საერთაშორისო უნივერსიტეტში ქართული სწავლების სექტორი და რომელმაც უკვე იქ დაიწყო, პირველი ახალი სასწავლო წელი. მიღება რუსთავის აკადემიურ ქალქშიც განხორციელდა, სადაც სწავლა ნოემბრის ბოლოს დაიწყება.

და ისევ უკრაინა, ქალაქი კანევი. აქ ომს არ შეუღწევია. ეს უკრაინელთა სიამაყის, ტარას შევჩენკოს ქალაქია ამ მოღვაწის შესანიშნავი ძეგლით, სახლმუზეუმით, საფლავით და აქვე გაშენებული, საქართველოდან საგანგებოდ ჩატანილი ალუბლის ხეების ბაღით. საგულისხმოა, რომ ამ ქალაქშივეა აკაკი წერეთლის სახელობის მე-6 ქართული სკოლა, ქართველი მოსწავლეებით.

მოკლედ, ქალაქ კანევში, ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან ჩატარებულ ღონისძიებაზე, ხაზი გაესვა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობების ისტორიულ ასპექტებს და ორი ხალხის ამჟამინდელ განწყობას. ფაქტია, რომ საქართველოსა და ქართველ ხალხს განსაკუთრებით შესტკივა გული უკრაინის დაულხინებელ აწმყოზე, იმ ძნელბედობაზე, რაც თავადაც გადაიტანა და რომელის ისტორიამაც მსხვერპლად შეიწირა საქართველოს ულამაზესი ტერიტორიული ნაწილი.

მრავლად იყო საქმიანი შეხვედრები. უნივერსიტეტის ოთხსართულიანი შენობა ყოველმხრივ მოწესრიგდა, რაშიც თვით ბატონი გარი ფიზიკური შრომით უშუალო მონაწილეობას იღებდა. ქართული სექტორი ემზადება სტუდენტთა მიღებისათვის. სწავლება დაუსწრებლადაც შეიძლება. ზემოთაღნიშნულ ოფიციალურ შეხვედრაზე გამოსვლისას ქართველმა პედაგოგმა გენრიეტა აბესაძემ ემოციურად ისაუბრა ტრაგედიის რეალობაზე და აღნიშნა, რომ უკრაინიდან საქართველოში, კერძოდ რუსთავში წვეულ ლტოლვილებს ყველა პირობას უქმნიან და კვლავაც შეუქმნიან სიყვარულითა და ურთიერთთანადგომით.

ოქტომბერში, ქალაქ კანევის ხელმძღვანელობამ კვლავ მიიწვია ქართული დელეგაცია სტუმრად. გადაწყვეტილია, ქართულ-უკრაინულ ურთიერთობაში შეტანილი წვლილისათვის, ზოგადად, წარმატებული პედაგოგიური საქმიანიბისათვის პედაგოგი გენრიეტა აბესაძე დაჯილდოვდეს ისააკ ნიუტონის – მეცნიერი, პუბლიცისტი და პედაგოგი მაყვალა ქობულაძე; სოკრატეს, – მაკა სამხარაძე, როგორც პროფესიონალი ისტორიკოსი, ჰეროდოტეს – ოქროს ვარსკვლავის მედლებით. ეს ჯილდოები ქართველ ქალებს გადაეცემათ ევროპის სამეცნიერო პედაგოგიური პარლამენტის სახელით, რაც უკავშირდება ყველა მათგანის საერთო განზრახვას, უკრაინაში იყოს ქართული სწავლების სექტორი, იქაურები სწავლობდნენ ქართულს. პარალელი, როდესაც უკრაინის ყველა დიდ ქალაქში გაჩნდა ქუჩები ოფიციალური სახელწოდებით „ქართველ მებრძოლთა ქუჩა“, ალბათ გასაკვირი აღარაა, რომ ქართული სექტორის გახსნაც სრულიად ბუნებრივ მოვლენად აღიქმებოდეს.

აქვე, სწორედ ქალაქ კანევში ჩატარდა ხალხმრავალი ღონისძიება – გარი ჩაფიძის ახალი, პროზაული წიგნისა სახელწოდებით „სიყვარულის არითმია“, რომელიც უკრაინაში დაღუპულ ქართველ მებრძოლთა ბიოგრაფიაზე მოგვითხრობს მათი მარადიული ხსოვნისა და არდავიწყების სურვილით.

დიახ, ქვემეხები ქუხს, მწერალი კი წერს, თავისი თუ სხვა ქვეყნის ტკივილით, კაცობრიობის საერთო ტკივილზე, რათა ადამიანებმა მთელ მსოფლიოში აღარ იხილონ ომის საშინელებანი. გარი ჩაფიძე: – დღეს ურთულეს პოლიტიკურ სიტუაციაში მშვიდობისმოყვარე ადამიანს პირობითად ორი გული უნდა ჰქონდეს, სამშობლოსათვის და მეორე, იმ უბედური ქვეყნის თანაგრძნობისათვის, რომელიც უსამართლო ომმა ლამის მიწასთან გაასწორა და უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. დიახ, ჩვენ ვიყავით უკრაინაში და ვარშავიდან კანევამდე 14 საათიანი მგზავრობის დროს უსაშინლესი ფაქტები, მოვლენები, ადგილები ვნახეთ...

ჩვენ კიდევ ერთხელ გავუმჟღავნეთ სიყვარული უკრაინელებს და ვუთხარით, რომ გამარჯვება და სიკვდილთან არდანებება, აუცილებელია, იმედი მივეცით მათ. კიდევ ვესტუმრებით ახალი გეგმებითა და სურვილებით.

კიდევ ბევრი რამის თქმა და მოყოლა შეიძლებოდა. ჩვენ მხოლოდ მოკლედ გადმოვეცით უკრაინაში ქართველთა დელეგაციის სტუმრობის მიზეზები და ეპიზოდები. ისღა დაგვრჩენია წარმატებები ვუსურვოთ ბატონ გარის, მის პედაგოგიურ კოლექტივს, თითოეულ სტუდენტს აქაც და უკრაინაშიც.

პ.ს. მასალა დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც აკადემიურ ქალაქში კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია მოვიდა, საბერძნეთის დედაქალაქ ათენში, ევროპის სამეცნიერო პედაგოგიური პარლამენტის ეგიდით დაარსებულ უნივერსიტეტში, რომელიც ქალაქის ცენტრში ვიქტორიას ქუჩაზე, ქართული სახლის გვერდით მდებარეობს, გაიხსნა აფილირებული ქართულის სწავლების ფაკულტეტი, რომელსაც ჩვენი თანამემამულე საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის გამგეობის წევრი, ჩვენი საერთო მეგობარი საბერძნეთში, დარეჯან ღამბაშიძე უხელმძღვანელებს. ქართული სკოლა – ქალაქ ათენში და ახლა უნივერსიტეტის ქართული ფაკულტეტი, სადაც ყველა ერის მსურველს შეუძლია სწავლა დასწრებულ თუ დაუსწრებელ ფაკულტეტზე.

„ჩვენი წარმატება, პრივილეგია არ არის, პასუხისმგებლობაა“ – ეს სლოგანი აკადემიკოს გარი ჩაფიძის ყოველდღიური ცხოვრების თანამგზავრია.

ლია მარტაშვილი

გაზეთი „რუსთავი“ № 109747, სექტემბერი, 2023წ.

ათენი

ქართველი ემიგრანტებისათვის!

ევროპის სამეცნიერო-პედაგოგიური პარლამენტის ეგიდით უკრაინის საკადრო პოლიტიკის საერთაშორისო უნივერსიტეტის ქართული სექტორი, საბერძნეთის დედაქალაქ ათენში, ცენტრალურ უბანში, ქართული სახლის მიმდებარედ, ვიქტორიის ქუჩის ორ ნომერში გაიხსნა, რომელიც უდაოდ დიდი შენაძენია საბერძნეთში მყოფი ქართველი ემიგრანტებისათვის, აქ სამ ათეულ წელზე მეტია მაღალ დონეზე და წარმატებულად ფუნქციონირებს ვახტანგ მეექვსის სახელობის ქართული სკოლა, რომელიც ქართული პედაგოგიური ელიტის უმაღლესი ჯილდოს, იაკობ გოგებაშვილის სახელობის ოქროს მედალოსანია და რაოდენ სასიხარულოა, რომ აქ ბინა დაიდო უკრაინის საკადრო პოლიტიკის საერთაშორისო უნივერსიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სასწავლო ცენტრმა, ვიცე რექტორის, პროფესორ დარეჯან ღამბაშიძის ხელმძღვანელობით.

როგორც ევროპის სამეცნიერო-პედაგოგიური პარლამენტის თავმჯდომარემ, უკრაინის საკადრო პოლიტიკის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ აღნიშნა ქართველი ემიგრანტებისათვის მსგავსი სიახლეების დანერგვა სხვა ქვეყნებშიც გაგრძელდება.

თბილისი

დასაწყისი – მაღალ დონეზე!

დიახ, მაღალ დონეზე და ორგანიზებულად დაიწყო ახალი სასწავლო წელი საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.თბილისის სასწავლო ცენტრმა, ეს პირველი სასწავლო წელია! ამიტომაც თითოეული სტუდენტი და პედაგოგი ოქროს მატიანედ შევა სასწავლო ცენტრის ისტორიაში, რამეთუ მათ, ამ ისტორიის თავფურცელი შექმნეს, სწორედ ამ საინტერესო სიახლეებზე და მომავლის პერსპექტივებზე ისაუბრა ქ.თბილისის სასწავლო ცენტრის გახსნის ღონისძიებაზე ინსტიტუტის რექტორმა, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ, რომელმაც ამომწურავად უპასუხა სტუდენტთა, მშობელთა და პედაგოგთა შეკითხვებს, სიტყვით გამოვიდნენ და სტუდენტ-ახალგაზრდებს პირველი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს ქ.თბილისი სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა

დავით კინწურაშვილმა, მენეჯერმა ქეთი მიქაძემ, პედაგოგებმა: ნათია ბალაძემ, დარიკო შარაგიამ და სხვებმა.

ოცნებები სრულდება! – ამის ნამდვილი მაგალითი, ინსტიტუტის რექტორის, აკადემიკოს გარი ჩაფიძის ბრძანებით სწორედ ქ.თბილისის სასწავლო ცენტრში უფასო სექტორზე ჩარიცხული მარტოხელა დედა ნათია მენაბდეა, რომელსაც ბავშვების ოცნება აუხდა და სამსახიობო ხელოვნებას ეუფლება.

რუსთავი

შეხვედრა რექტორთან

ამ დღეებში ძალზე საინტერესო და შინაარსიანი შეხვედრა შედგა საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.რუსთავის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრის სტუდენტურ თვითმმართველობასთან, თვითმმართველობის წევრებმა: აილინ მასიმოვამ, ნარგილა მამედოვამ, აიშან ბუდაგოვამ, აიგუნ ისმაილოვამ, მაია კარაევამ, აიშა ალიევამ, სონა თეიმუროვამ, რავან კასუმოვმა და სხვებმა აღნიშნეს იმ ძირითადი მიმართულებების გადაჭრის აუცილებლობაზე რომელიც სტუდენტურ ცხოვრებას მეტად საინტერესოს და შინაარსიანს გახდის, ასევე ყურადღება გაამახვილეს მომავლის პერსპექტივებზე.

რექტორმა, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ ქმედითი დახმარება აღუთქვა სტუდენტურ თვითთმართველობას დასახული სასიკეთო საქმეთა განხორციელების საქმეში.

ახალი შემართებით

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ავტორიზებული იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართულ კოლეჯში, საფინანსო სერვისების სპეციალობის პირველ კურსზე სწავლა დაიწყო!

როგორც კოლეჯის დირექტორმა, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ აღნიშნა იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის გახსნა და ფუნქციონირება რუსთავის აკადემიურ ქალაქში, სიამაყის ნიშანსვეტია მთელი საქართველოსა და პირადად ქვემო ქართლის ახალგაზრდებისათვის, სადაც სასწავლო პროცესი სახელმწიფო დაფინანსებითაა და სტუდენტები სრულიად უფასოდ დაეუფლებიან დღევანდელობაზე მორგებული სპეციალობას, რომლის დამთავრების შემდეგაც გადაეცემათ ქართული სახელმწიფო დიპლომი!

ქუთაისი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია

სამართლის დოქტორი, თბილისის ღია უნივერსიტეტის მიწვეული სპეციალისტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი, პროფესორი, სამართლის მეცნიერებათა კავშირის საპატიო წევრი, ჟურნალის „სამართლის მაცნე“ რედაქტორი, პროფესიული განვითარების ინოვაციური ცენტრის მიწვეული ექსპერტი... ეს არასრული ჩამონათვალია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქალაქ ქუთაისის საგანმანათლებლო რესურსენტრის უფროსის მაია ცქიტიშვილის ბიოგრაფიიდან, რომელიც ნებისმიერი სახელმწიფო მოღვაწეს დაამშვენებს დიახ მან უდიდესი ცხოვრებისეული გზა განვლო ავტორიტეტისა და ღირსების დაცვით, ამიტომ საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის აკადემიკოს გარი ჩაფიძის ბრძანებულებით პროფესორი მაია ცქიტიშვილი ქართული პედაგოგიური ელიტის უმაღლესი ჯილდოთი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიითა და ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

უკრაინა

წინ უამრავი გამოწვევაა...

შინაარსიანად, საქმიანად და კოლეგიალურ ვითარებაში წარიმართა სამუშაო ვიზიტი ევროპის სამეცნიერო პედაგოგიური პარლამენტის თავმჯდომარე, აკადემიკოს გარი ჩაფიძესა და ჩერკასის ოლქის (უკრაინა) სახელმწიფო ადმინისტრაციის განათლებისა და მეცნიერების სამმართველოს ხელმძღვანელი პროფესორი ვიტალი დანილევსკის შორის, შეხვედრა, რომელსაც უკრაინის მხრიდან

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ოქსა სიმუშინა და შესაბამისი სამსახურების პირველი პირები, ხოლო საქართველოდან, რუსთავის აკადემიური ქალაქის დელეგაციის წარმომადგენლები მაყვალა ქობულაძე და მაკა სამხარაძე ესწრებოდნენ, დაგეგმილზე ბევრად მეტხანს გაგრძელდა. საკითხი ძირითადად ჩერკასის ოლქის, ქალაქ კანევში, საკადრო პოლიტიკის საერთაშორისო უნივერსიტეტში ქართული სექტორის დაფუძნების საკითხს შეეხო... საყურადღებოა, რომ ეს პირველი ქართული საუნივერსიტეტო განათლებაა საზღვარგარეთ... დიახ, წინ უამრავი გამოწვევაა...

ის ჩვენი კურსდამთავრებულია!

გაიცანით ფარმაცევტული კომპანია „ფარმსახლის“ მოწინავე თანამშრომელი, ჩვენი კურსდამთავრებული ნინო ღვინჯილია

რუსთავის აკადემიური ქალაქი გერმანული პრესის ფურცლებზე...

ნიკოლას ბუტილინი, გერმანიაში ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული გაზეთის „ბერლინა ცაითუნგს“ წამყვანი ჟურნალისტია და საქართველოში სტუმრობის დროს ღირშესანიშნაობათა ნუსხის გაცნობისას, მისი ყურადღება ჩვენმა, რუსთავის აკადემიურმა ქალაქმა მიიპყრო, პროფესიონალიზმმა სძლია და... საინტერესო ინტერვიუს შემდეგ კოლეგიალური ურთიერთობის დროს აკადემიური ქალაქის დამფუძნებელთან, აკადემიკოს გარი ჩაფიძესთან მომავლისათვის ურთიერთთანამშრომლობის ბევრი საკითხი იქნა განხილული, რომელთა რეალიზაციაც უახლოეს ხანში დაიწყება.

გამოსათხოვარი

შთამომავლობას კეთილი სიტყვით გადაეცემა...

ურთულესია ახლა ამ წერილის დაწერა... საოცრად რთული... უამრავი მოგონების შუაგულში ვარ და გული მტკივა, რადგანაც ქართული პედაგოგიური ელიტის დიდი ბერმუხა მივაბარეთ მშობლიურსა და უსაყვარლეს მიწას, ადამიანურობისა და მოქალაქეობრივი ღირსების ეტალონი, ქალბატონი აზა ბუაძე.

შეუძლებელია, ერთსა და იმავე დროს ეს პწკარები მოკლეც იყოს და ამომწურავიც... საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირს წმინდანეთი უნდა ერქვას, აქ ისეთ კორიფეთა სულიერება მეფობს, სწორედ ამ წმინდანეთში, თავისი სიწმინდითა და სიწრფელით ათეულობით წლები იმსახურა პროფესორმა აზა ბუაძემ, იგი ყოველგვარი ამბიციების გარეშე პედაგოგთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილის რანგში ურყევად იდგა.

საოცრად ლამაზი, მეცნიერული, პედაგოგიური და შემოქმედებითი გზა განვლო ქალბატონმა აზამ, მის სახელს დავიწყება არ უწერია, მას ყოველთვის გულთბილად მოიხსენიებენ, რამეთუ ხალხის, საზოგადოების წინაშე პატიოსანი შრომით მოხდილი ვალი არასოდეს იკარგება, იგი ღვივდება, თითოეულის გულში იბუდებს და შთამომავლობას კეთილი სიტყვით გადაეცემა...

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირი

გამოსათხოვარი

საოცარია სამყარო

ბედი, უღელია ჩვენივე სულისა, ხოლო სული, ჭეშმარიტებისაკენ რომ გეწევა, უღელია ჩვენი ბედისა. ადამიანი ისეთივე ამოუწურავი, აუხსნელი ცნება და სიდიდეა, როგორც თვით ბუნება... თუ დავუშვებთ, რომ იგი მუდამ ორ პოლუსს – ადამიანის მოცემულ რეალურ ყოფასა და ადამიანის შესაძლებელ ყოფას შორის არის მოქცეული, მაშინ უნდა დავუშვათ აუცილებელი „მესამეც“, ორ პოლუსს შორის მოქცეული „მესამის კონგლომერატი“, რომელიც ადამიანთა ორივე პოლუსის მაკონტროლებელია, ზებუნებაა, სიყვარულის ფენომენია... დიახ, სწორედ ეს ცნება და ფენომენი აკავშირებდა, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის, აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარეს, პროფესორ აკაკი ზოიძეს საზოგადოებასთან და პირიქით, საზოგადოებას მასთან... უდიდესი დანაკლისია ქართული მეცნიერებისათვის მისი გარდაცვალება... საოცარია სამყარო... მსუბუქი ყოფილიყოს ბატონო აკაკი თქვენთვის მშობლიური ბათუმის მიწა...

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირი

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: 3700 ქ. რუსთავი შევჩენკოს ქუჩა №5; (აკადემიური ქალაქი) კორპუსი №4

ტელ: (0341) 22-25-00; 22-45-00 27-99-00; 25-37-00; 25-39-00; 27-94-00; 27-96-00

ISSN 2298-0369